

შპს „დისქავერი ა“

2017 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „დისქავერი ა“-ს ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „დისქავერი ა“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“-ს ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2017 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ფულადი სახსრების დათვლის პროცესს. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ნაღდი ფულის ნაშთის სისწორეში, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ნაღდი ფულის ნაშთთან დაკავშირებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა შესაბამისი დამხმარე დოკუმენტაცია 2017 წლისათვის კომპანიის შემოსავლების დასადასტურებლად. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით შემოსავლების თანხის სისწორეში, ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა შემოსავლების თანხასთან დაკავშირებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაზე 2 (ბ), რომელიც მიუთითებს რომ კომპანიის წმინდა ზარალმა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 14,421 ათასი ლარი, და ამ თარიღისთვის, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მის მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 4,350 ათასი ლარით და 2019 წლის აპრილიდან 2020 წლის აპრილამდე კაზინოს საქმიანობის წლიური სალიცენზიო მოსაკრებლის თანხა 5,000 ათასი ლარი გადასახდელია 2019 წლის აპრილში. როგორც აღნიშნულია შენიშვნაში 2 (ბ), ეს გარემოებები ან პირობები მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას მნიშვნელოვანი ეჭვი კომპანიის უნარზე საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას, და შესაბამისად იმის განსაზღვრას არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გამოვხატავთ მმართველობით ანგარიშთან დაკავშირებით რწმუნებას არანაირი ფორმით. ჩვენ წაკითხული გვაქვს მმართველობითი ანგარიში და ჩვენს გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენ ვასკვნით რომ მმართველობითი ანგარიში:

- არის ფინანსურ ანგარიშგებასთან შესაბამისი და არ შეიცავს არსებით შეცდომას.
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვცეთ აუდიტორთა დასკვნა. თუმცა, იმ ფაქტორების გამო, რომლებიც განმარტებულია ჩვენი დასკვნის „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“-ს ნაწილში, ჩვენ არ შეგვეძლო მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭო“-ს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს (IESBA კოდექსი) და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობა მოცემულ მოთხოვნებთან და IESBA კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისად.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

თინათინ დავითაია

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

25 თებერვალი, 2019 წელი

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე


ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩავატაროთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვცეთ აუდიტორთა დასკვნა. თუმცა, იმ ფაქტორების გამო, რომლებიც განმარტებულია ჩვენი დასკვნის „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“-ს ნაწილში, ჩვენ არ შეგვეძლო მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭო“-ს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“-ს (IESBA კოდექსი) და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, და ჩვენ შევასრულეთ, ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობა მოცემულ მოთხოვნებთან და IESBA კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისად.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

თინათინ დავითაია

შპს „იუ ეიჩ ვაი“
თბილისი, საქართველო
25 თებერვალი, 2019 წელი



შპს „დისკვეერი ა“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	12,671	8,614
არამატერიალური აქტივები	10	1,765	5
ავანსები ძირითადი საშუალებებისთვის	9 (გ)	54	2,359
სულ გრძელვადიანი აქტივები		14,490	10,978
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	255	-
სხვა მოთხოვნები		44	7
გადახდილი ავანსები	12	1,250	76
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	2,547	349
სულ მიმდინარე აქტივები		4,096	432
სულ აქტივები		18,586	11,410
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1	1
დამატებითი გადახდილი კაპიტალი		3,932	1,770
აკუმულირებული ზარალი		(15,997)	(1,576)
სულ კაპიტალი	14	(12,064)	195
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	16	22,204	10,963
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		22,204	10,963
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	16	7,676	-
სხვა ვალდებულებები		273	119
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	17	497	133
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,446	252
სულ ვალდებულებები		30,650	11,215
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		18,586	11,410

შპს „დისკვეერი ა“
 2017 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

‘000 ლარი	შენიშვნა	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი)	
		2017	2016 წლის 31 დეკემბრამდე
შემოსავალი	5	13,631	-
საოპერაციო ხარჯები	6	(21,680)	-
საერთო ზარალი		(8,049)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,366)	(947)
სხვა ხარჯები	8	(555)	(4)
ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(11,970)	(951)
საპროცენტო ხარჯი		(1,979)	(139)
წმინდა ზარალი საკუთსო სხვაობიდან		(472)	(486)
წლის ზარალი მოგების გადასახადამდე და ზარალი და სხვა სრული ზარალი		(14,421)	(1,576)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 25 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:


ამირან ნოდია
 გენერალური დირექტორი

ვასილი გიგაური
 მთავარი ბუღალტერი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 10-38 გვერდებზე

‘000 ლარი	შენიშვნა	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი)	
		2017	2016 წლის 31 დეკემბრამდე
შემოსავალი	5	13,631	-
საოპერაციო ხარჯები	6	(21,680)	-
საერთო ზარალი		(8,049)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(3,366)	(947)
სხვა ხარჯები	8	(555)	(4)
ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(11,970)	(951)
საპროცენტო ხარჯი		(1,979)	(139)
წმინდა ზარალი საკუთრსო სხვაობიდან		(472)	(486)
წლის ზარალი მოგების გადასახადამდე და ზარალი და სხვა სრული ზარალი		(14,421)	(1,576)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 25 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

 ამირან ნოდია გენერალური დირექტორი		 ვასილი გიგაური მთავარი ბუღალტერი
---	---	--

შპს „დისქვერი ა“
2017 წლის კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი გადახდილი კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 20 ივნისის მდგომარეობით (დაარსების თარიღი)	1	-	-	1
ზარალი და სხვა სრული ზარალი პერიოდის განმავლობაში	-	-	(1,576)	(1,576)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან შენატანები და განაცემები				
მიღებული სესხების რეალური ღირებულების კორექტირება (შენიშვნა 14 (გ))	-	1,770	-	1,770
სულ ოპერაციები მესაკუთრეებთან	-	1,770	-	1,770
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	1,770	(1,576)	195
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1	1,770	(1,576)	195
ზარალი და სხვა სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(14,421)	(14,421)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან და სხვა დაკავშირებულ მხარესთან				
შენატანები და განაცემები				
მიღებული სესხების რეალური ღირებულების კორექტირება და ვალდებულების პატიება (შენიშვნა 14 (გ))	-	2,162	-	2,162
სულ ოპერაციები მესაკუთრეებთან და სხვა დაკავშირებულ მხარესთან	-	2,162	-	2,162
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1	3,932	(15,997)	(12,064)

‘000 ლარი	2017	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი) 2016 წლის 31 დეკემბრამდე
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი წლის განმავლობაში	(14,421)	(1,576)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	6,568	9
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	27	-
საპროცენტო ხარჯი	1,979	139
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	472	565
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის და ანარიცხების ცვლილებამდე	(5,375)	(863)
<i>ცვლილებები:</i>		
მარაგები	(255)	-
სხვა მოთხოვნები	(37)	(7)
გადახდილი ავანსები	(1,174)	(76)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	364	133
სხვა ვალდებულებები	749	114
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(5,728)	(699)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა და ცვლილებები	(4,848)	(10,982)
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ ავანსებში არამატერიალური აქტივების შეძენა	(5,280)	(5)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(10,128)	(10,987)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღება	19,085	12,034
სესხების დაფარვა	(1,166)	-
ფინანსური საქმიანობებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	17,919	12,034
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	2,063	348
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	349	-
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	135	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით (შენიშვნა 13)	2,547	349

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	15. კაპიტალის მართვა	19
2. მომზადების საფუძვლები	12	16. სესხები	20
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	12	17. სხვა საგადასახადო ვალდებულებები	21
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	18. რეალური ღირებულებები და რისკების მართვა	21
5. შემოსავალი	14	19. საოპერაციო იჯარა	26
6. საოპერაციო ხარჯები	14	20. პირობითი ვალდებულებები	26
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	21. დაკავშირებული მხარეები	27
8. სხვა ხარჯები	15	22. შემდგომი მოვლენები	28
9. ძირითადი საშუალებები	16	23. შეფასების საფუძველი	29
10. არამატერიალური აქტივები	17	24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	29
11. მარაგები	18	25. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი	37
12. გადახდილი ავანსები	18		
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18		
14. საკუთარი კაპიტალი	19		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიას საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლების შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

(ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „დისქვერი ა“, ყოფილი შპს „კაზინო ამბასადორი“ („კომპანია“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია დაარსდა 2016 წლის 20 ივნისს.

კომპანიის იურიდიული მისამართია შავთელის ქ. N17, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კაზინოს და რესტორნის ოპერაციების წარმართვა, სასტუმრო „ამბასადორი“-ს შენობაში, თბილისი, საქართველო. კომპანიამ მიიღო კაზინოს საქმიანობის ლიცენზია 2017 წელს შესაბამისი საქართველოს სამთავრობო უწყებიდან, რომელიც მოქმედია 2017 წლის 28 აპრილიდან 2022 წლის 27 აპრილამდე და დაიწყო საოპერაციო საქმიანობა 2017 წლის მაისიდან (კაზინოს ლიცენზიის წლიური მოსაკრებელი 5 მილიონი ლარია).

კომპანიის მფლობელების სტრუქტურა შემდეგია:

მფლობელები	ამ ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად ნების დართვის თარიღისთვის, %	2017 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %	2016 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %
ანდრეი ბლოხი	50%	47.5%	37.5%
დავით შველიძე	50%	37.5%	37.5%
ედუარდ მორდუხოვიჩი	-	15%	15%
ალექსანდრ ცვეტკოვი	-	-	10%
	100%	100%	100%

კომპანიის ძირითადი დაფინანსება მიღებულია მისი მფლობელებისგან, და საკრედიტო განფენილობაც არის მათ მიმართ. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია მფლობელებზე და მისი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული მათ მოთხოვნებთან.

მფლობელებს აქვთ დისკრეციული შესაძლებლობა, პირდაპირ ჩაერიონ კომპანიის საოპერაციო საქმიანობის მართვაში თავიანთი სარგებლის მიღების მიზნით. მათ ასევე აქვთ სხვა ბიზნეს ინტერესები კომპანიის გარეთ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განმარტებულია შენიშვნაში 21.

2. მომზადების საფუძვლები

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“IFRS”) შესაბამისად.

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობის ინფორმაციით, ძირითადი გარემოებები და პირობები, რომლებიც წარმოქმნის მნიშვნელოვან ეჭვს კომპანიის უნარზე, განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, შემდეგია: კომპანიის წმინდა ზარალმა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 14,421 ათასი ლარი, და ამ თარიღისთვის, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებმა მის მიმდინარე აქტივებს გადააჭარბა 4,350 ათასი ლარით და 2019 წლის აპრილიდან 2020 წლის აპრილამდე კაზინოს საქმიანობის წლიური სალიცენზიო მოსაკრებლის თანხა 5,000 ათასი ლარი გადასახდელია 2019 წლის აპრილში.

ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ გაუმკლავდეს იმ გარემოებებს და პირობებს, რომლებიც იწვევენ არსებით განუსაზღვრელობას იმ გარემოებებთან და პირობებთან, რომლებმაც შესაძლოა წარმოშვას მნიშვნელოვანი ეჭვი კომპანიის უნარზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და კომპანია შესაძლოა უუნარო გახდეს, რომ შეძლოს მისი აქტივების რეალიზაცია და მისი ვალდებულებების დაფარვა საქმიანობის ჩვეულ პირობებში, მიმდინარე მოლაპარაკების გაგრძელებით მიღებული სესხების ხელშეკრულებების არსებულ პირობებზე, რაც დასრულდება კომპანიისთვის მისაღები პირობებით და კომპანია საჭიროების შემთხვევაში მიიღებს დაფინანსებას მისი მფლობელებისგან. ასევე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კაზინოს ბიზნესისთვის პირველი სამი წელი არის საწყისი ეტაპი და ახასიათებს გაუმჯობესების ტენდენცია ფინანსურ მაჩვენებლებში, კაზინოს ლოიალური კლიენტების ზრდასთან ერთად.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და რომელშიც მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო

პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შენიშვნაში 16 - დაბალ საპროცენტო განაკვეთიანი სესხების რეალური ღირებულება.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

რეალური ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს რეალური ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე - არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. რეალური ღირებულება განსაზღვრულია შეფასების და განმარტებითი შენიშვნების მიხედვით.

რეალური ღირებულება დაჯგუფებულია რეალური ღირებულების იერარქიაში სხვადასხვა დონეების მიხედვით იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული).
- დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია რეალური ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ რეალური ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, რეალური ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის ტრანსფერებს აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც მოხდა ცვლილება.

რეალური ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 18 - რეალური ღირებულებები და რისკების მართვა.

5. შემოსავალი

	2017	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი) 2016 წლის 31 დეკემბრამდე
'000 ლარი		
შემოსავალი კაზინოს მაგიდებიდან	10,956	-
შემოსავალი კაზინოს სლოტ აპარატებიდან	2,458	-
შემოსავალი რესტორნიდან	217	-
	13,631	-

6. საოპერაციო ხარჯები

	2017	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი) 2016 წლის 31 დეკემბრამდე
'000 ლარი		
კაზინოს დანახარჯები	(19,872)	-
რესტორნის დანახარჯები	(1,808)	-
	(21,680)	-

საოპერაციო ხარჯები შედგება:

	2017	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი) 2016 წლის 31 დეკემბრამდე
'000 ლარი		
ხელფასები	(6,343)	-
ამორტიზაცია	(3,496)	-
ცვეთა	(3,030)	-
კვარტალური მოსაკრებლის ხარჯები*	(2,966)	-
წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ხარჯები	(2,253)	-
სტუმრების ხარჯები	(1,329)	-
იჯარის ხარჯი**	(764)	-
რესტორნისთვის გამოყენებული მარაგები	(585)	-
კვების ხარჯები***	(296)	-
სხვა გადასახადები გარდა მოგებისა	(255)	-
ბანკის საკომისიოები	(240)	-
დასუფთავების ხარჯები	(51)	-
დაზღვევის ხარჯები	(21)	-
სხვა	(51)	-
	(21,680)	-

*კვარტალური მოსაკრებლის ხარჯები წარმოადგენს ადგილობრივ ბიუჯეტში წინასწარ გადასახდელ ფიქსირებულ კვარტალურ საგადასახადო ვალდებულებას საქართველოში მოქმედი სათამაშო ბიზნესისთვის. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აღიარებული აქვს ავანსად გადახდილი კვარტალური მოსაკრებელი 1,124 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 12).

**მთლიანი საოპერაციო იჯარის ხარჯებიდან 613 ათასი ლარი წამოადგენს დაკავშირებული მხარისგან კაზინოსთვის იჯარით აღებული ფართის დაქირავების ხარჯს, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მეიჯარის მიერ მოხდა ვალდებულების პატიება და აღნიშნული აისახა როგორც დამატებითი გადახდილი კაპიტალი (შენიშვნა 14 (გ)).

***კომპანიის მიერ საოპერაციო პერსონალისთვის მიწოდებული საკვების დანახარჯი, რომელიც შესყიდულია კომპანიის მიერ მესამე მხარისგან და არ არის მიწოდებული საკუთარი რესტორნიდან.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი) 2016 წლის 31 დეკემბრამდე
'000 ლარი		
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები	(978)	(172)
ხელფასები	(924)	(480)
სარეკლამო ხარჯები	(435)	(10)
იჯარის ხარჯები	(181)	(67)
საკანცელარიო და სხვადასხვა დამხმარე საოფისე ხარჯები	(174)	-
საბანკო ხარჯები	(167)	(97)
სხვა გადასახადები გარდა მოგებისა	(126)	(32)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(110)	-
საკომუნიკაციო ხარჯები	(49)	(3)
მივლინების ხარჯები	(42)	(1)
ცვეთა და ამორტიზაცია	(42)	(9)
საწვავის ხარჯები	(35)	(5)
საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები	(24)	(3)
ტრენინგის ხარჯები	(7)	(46)
დაზღვევის ხარჯები	-	(8)
კვების ხარჯები	-	(3)
სხვა	(72)	(11)
	(3,366)	(947)

ზემოთ მოცემული საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები არ მოიცავს აუდიტორული მომსახურების გაწვევისთვის აუდიტორული კომპანიებისათვის გადახდილ თანხებს 37 ათასი ლარის ოდენობით, რამდენადაც იგი აღიარდება 2019 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

8. სხვა ხარჯები

	2017	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი) 2016 წლის 31 დეკემბრამდე
'000 ლარი		
ავანსების ჩამოწერა*	(438)	-
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	(27)	-
სხვა ხარჯები	(90)	(4)
	(555)	(4)

*მთლიანი თანხის 84 პროცენტი წარმოადგენს იმ ავანსების ჩამოწერის ხარჯებს, რომლებიც გადახდილი იყო 2016 და 2017 წლებში ორი ფიზიკური პირის მიმართ, ვისაც უნდა მოეწოდებინათ ძირითადად უსაფრთხოების სისტემის აღჭურვილობა, რაც არ იყო მოწოდებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის ხელმოწერის თარიღამდე და ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მისი მოწოდება არ არის მოსალოდნელი მომავალში.

9. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	კაზინოს აღჭურვილობა	ოფისის და კომპიუტერული აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა აღჭურვილობა	დაუმონტაჟებული საშუალებები	ავტომობილები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 2016 წლის 20 ივნისის (დაარსების თარიღი) მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-
შესყიდვები	-	93	-	8,113	64	-	353	8,623
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	93	-	8,113	64	-	353	8,623
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	93	-	8,113	64	-	353	8,623
შესყიდვები	992	1,492	1,359	516	526	-	2,268	7,153
შიდა მოძრაობა	7,764	349	-	(8,113)	-	2,621	(2,621)	-
გასვლა/ ჩამოწერები	(63)	(1)	(7)	-	-	-	-	(71)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,693	1,933	1,352	516	590	2,621	-	15,705
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი								
ნაშთი 2016 წლის 20 ივნისის (დაარსების თარიღი) მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	-	5	-	-	4	-	-	9
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	5	-	-	4	-	-	9
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	5	-	-	4	-	-	9
ცვეთა წლის განმავლობაში	1,378	955	193	-	71	451	-	3,048
გასვლა/ ჩამოწერები	(19)	-	(4)	-	-	-	-	(23)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,359	960	189	-	75	451	-	3,034
წმინდა საბალანსო ღირებულება:								
2016 წლის 20 ივნისის (დაარსების თარიღი)	-	-	-	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის	-	88	-	8,113	60	-	353	8,614
2017 წლის 31 დეკემბრის	7,334	973	1,163	516	515	2,170	-	12,671

2017 წელს ცვეთის ხარჯი 3,030 ათასი ლარი, აისახა საოპერაციო ხარჯებში (2016 წლის 20 ივნისიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე: ნული), 18 ათასი ლარი - საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში (2016 წლის 20 ივნისიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე: 9 ათასი ლარი).

(ა) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ერთეულები საბალანსო ღირებულებით 12,671 ათასი (2016 წელს: ნული) დატვირთულია გირავნობით უზრუნველყოფილი სესხების ფარგლებში (იხ. შენიშვნა 16).

(ბ) დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები წარმოადგენს შეძენილ კაზინოს აღჭურვილობას, რომლებიც არ იყო დამონტაჟებული და არ იყო ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელი იქნებოდა აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისთვის.

(გ) ავანსები ძირითადი საშუალებებისთვის

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული ავანსები 54 ათასი ლარი (2016: 2,359 ათასი ლარი) ძირითადად წარმოადგენს უცხოელი მომწოდებლებისთვის კაზინოს მოწყობილობებისთვის გადახდილ თანხებს.

10. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივი	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი 2016 წლის 20 ივნისის (დაარსების თარიღი) მდგომარეობით	-	-	-
შესყიდვები	-	5	5
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	5	5
 ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	5	5
შესყიდვები	5,115	165	5,280
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,115	170	5,285
 დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი			
ნაშთი 2016 წლის 20 ივნისის (დაარსების თარიღი) და 2016 წლის 31 დეკემბრის	-	-	-
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	3,471	49	3,520
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის	3,471	49	3,520
 წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2016 წლის 20 ივნისის (დაარსების თარიღი)	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბრის	-	5	5
2017 წლის 31 დეკემბრის	1,644	121	1,765

(ა) უზრუნველყოფა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივები საბალანსო ღირებულებით 1,765 ათასი ლარი (2016: ნული) დატვირთულია გირავნობით უზრუნველყოფილი სესხების ფარგლებში (იხ. შენიშვნა 16).

11. მარაგები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სასმელები	101	-
სიგარეტები	21	-
სხვა მარაგები	133	-
	255	-

12. გადახდილი ავანსები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ავანსად გადახდილი კვარტალური მოსაკრებელი (შენიშვნა 6 *)	1,124	-
სხვა გადახდილი ავანსები	126	76
	1,250	76

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

’000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნაღდი ფული	1,551	32
ფულადი სახსრები ბანკებში	996	317
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	2,547	349

კომპანიის განფენილობა საპროცენტო რისკთან და ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განმარტებულია შენიშვნაში 18.

14. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში.

(ბ) დივიდენდები

კომპანიის მფლობელები არიან უფლებამოსილნი დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა აკუმულირებული ზარალი 15,997 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს მიმდინარე წლის ზარალსაც, (2016 წლის 20 ივნისიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე: 1,576 ათასი ლარი)

(გ) დამატებითი გადახდილი კაპიტალი

დამატებითი გადახდილი კაპიტალი წარმოადგენს მეწილეების მიერ კომპანიისთვის მიცემულ სარგებელს, როდესაც ისინი მოქმედებენ როგორც მფლობელები. იგი წარმოადგენს მთლიან ფულად ან არაფულად კონტრიბუციას განხორციელებულს მფლობელებისგან და დაკავშირებული მხარეებისგან, რომელიც არ არის რეგისტრირებული როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალის ზრდა საანგარიშგებო თარიღისთვის.

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აფასებს მფლობელისგან მიღებულ სესხებს რეალური ღირებულებით, 2017 და 2016 წლებში მიღებულ სესხებზე, განსხვავება ნომინალურ თანხასა და შეფასებულ რეალურ ღირებულებას შორის (შენიშვნა 16) 1,527 ათასი ლარი და 1,770 ათასი ლარი შესაბამისად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია როგორც დამატებითი გადახდილი კაპიტალი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ვალდებულება დაკავშირებულ მხარესთან 635 ათასი ლარი, ნაპატიები იქნა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახა როგორც დამატებითი გადახდილი კაპიტალი (შენიშვნა 19).

15. კაპიტალის მართვა

კომპანიას კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა არ აქვს, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს რომ შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი, როგორც კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, ასევე ბაზრის მონაწილეთა შორის ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ეფექტური ფულის მენეჯმენტითა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის მფლობელებისგან.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან მიმართებაში მესამე მხარეთაგან დადგენილ მოთხოვნებს.

16. სესხები

ეს განმარტებითი შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის ამორტიზირებული ღირებულებით წარმოდგენილი პროცენტიანი სესხების საკონტრაქტო პირობების შესახებ. საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკის მიმართ კომპანიის განფენილობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მფლობელისგან მიღებული სესხები	22,204	10,963
მიმდინარე ვალდებულებები		
მფლობელისგან მიღებული სესხები	7,676	-

(ა) პირობები და სესხის დაფარვის ვადები

დარჩენილი სესხების პირობები შემდეგია:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017				31 დეკემბერი 2016		
	ნომინალური			ნომინალური ღირებულება	ნომინალური ღირებულება		
	ვალუტა	განაკვეთი	წელი		საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სესხები							
მფლობელისგან	USD	4%	2018	7,581	7,671	135	124
სესხები							
მფლობელისგან	USD	4%	2019	12,489	11,345	12,640	10,839
სესხები							
მფლობელისგან	USD	4%	2020-21	12,037	10,864	-	-
სულ საპროცენტო ვალდებულებები				32,107	29,880	12,775	10,963

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სესხი მიღებული იყო ბატონი ანდრეი ბლოხისგან სხვადასხვა სასესხო შეთანხმებებით, თითოეული მოიცავს წლიურ 4 პროცენტიან სასესხო განაკვეთს და ძირ თანხასთან ერთად სრულად გადასახდელია ვადის ბოლოს. თავდაპირველი აღიარებისას ხელმძღვანელობა 2017 წელს მიღებული სესხების რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს საბაზრო 8.4 პროცენტის გამოყენებით (2016 წლის 20 ივნისიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე - 9.6 პროცენტი), რომელიც ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას საქართველოში მოქმედი კომპანიებისათვის საპროცენტო განაკვეთების შესახებ. (შენიშვნა 14 (გ))

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, (2016: ნული) მიღებული სესხები ძირითადად 5,988 ათასი ლარი (2,310 ათასი აშშ დოლარი) დეფოლტში იყო, რომლებიც აისახა ზემოთ მიმდინარე ვალდებულებებში.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის ყველა მოძრავი და უძრავი ქონება დატვირთულია ანდრეი ბლოხისგან მიღებული გირავნობით უზრუნველყოფილი სესხების ფარგლებში, აგრეთვე დანარჩენი მფლობელების წილიც კომპანიის საკუთარ კაპიტალში.

17. სხვა საგადასახადო ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
გადასახდელი დღგ	225	112
მოგების გადასახადის ვალდებულება (ე.წ. „ესტონური მოდელით“)	79	-
გადასახდელი ქონების გადასახადი	69	-
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	30	11
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	94	10
	497	133

18. რეალური ღირებულებები და რისკების მართვა

(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისას ოპერაციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე რეალური ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია რეალური ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანია შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკის მართვის სისტემა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებაზე და გადახედვაზე, ასევე მის განვითარებასა და ზედამხედველობაზე და მფლობელებისათვის მისი მოქმედების შესახებ რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და კონტროლების დასადგენად, ასევე რისკის და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გათვალისწინებით. კომპანია ტრენინგებით, მმართველობითი სტანდარტებით და პროცედურებით მიზნად ისახავს, რომ განავითაროს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა დასაქმებული გააცნობიერებს მის როლსა და მოვალეობებს.

მფლობელები ზედამხედველობენ თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მონიტორინგი კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკას და პროცედურებს და მიმოიხილავს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე არსებულ რისკებთან დაკავშირებით.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეშება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან. 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებული იყო საქართველოს წამყვან ბანკებში, რეიტინგის (Fitch) მიხედვით, დეფოლტის მოკლევადიანი B შეფასებით. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და შესაბამისად სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანიის მიერ ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, კომპანიას ყოველთვის ქონდეს დავალიანების შესაბამისი გადახდისუნარიანობა, როგორც ჩვეულ ასევე სტრესულ სიტუაციაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების თავიდან აცილებითა და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

კომპანიას არ აქვს ლიკვიდური რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას წარმოექმნება ლიკვიდურობის პრობლემები, შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება მისი მფლობელისგან.

ლიკვიდურობის რისკის მიმართ განფენილობა

მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის ფინანსური ვალდებულებების საკონტრაქტო ვადიანობა. თანხები საერთო მოცულობითაა წარმოდგენილი და არადისკონტირებულია, და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს და არ ითვალისწინებს ხელშეკრულებების ურთიერთჩათვლის გავლენას.

31 დეკემბერი 2017

	საბალანსო ღირებულება	საკონტრაქტო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	1-2 წელი	2-5 წელი
’000 ლარი					
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები მფლობელისგან	29,880	34,404	6,386	1,444	26,574
სხვა ვალდებულებები	273	273	273	-	-
	30,153	34,677	6,659	1,444	26,574

31 დეკემბერი 2016

	საბალანსო ღირებულება	საკონტრაქტო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	1-2 წელი	2-5 წელი
’000 ლარი					
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები მფლობელისგან	10,963	14,949	-	143	14,806
სხვა ვალდებულებები	119	119	119	-	-
	11,082	15,068	119	143	14,806

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას, მოგება ან ზარალში ვოლეტარულობის სამართავად.

სავალუტო რისკი

კომპანიის წინაშე არსებობს სავალუტო რისკი, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებითაც ამონაგები, შესყიდვები და სესხებია დენომინირებული და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიას აქვს განფენილობა სავალუტო რისკის მიმართ ამონაგებთან, შესყიდვებთან და სესხებთან მიმართებით, რადგან ისინი დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება კომპანიის სამუშაო ვალუტისგან, ძირითადად აშშ დოლართან.

ზოგადად, სესხები დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც შეესაბამება ფულად ნაკადებს კომპანიის ძირითადი ოპერაციებიდან, ძირითადად აშშ დოლარი. გარდა ამისა, სესხის პროცენტი დენომინირებულია სესხის ვალუტაში. ეს იძლევა ეკონომიკური ჰეჯირების საშუალებას წარმოებული ხელშეკრულებების დადების საჭიროების გარეშე.

კომპანიისთვის განფენილობა სავალუტო რისკის მიმართ შემდეგი გახლდათ:

'000 ლარი	აშშ დოლარში	ევროში	აშშ დოლარში	ევროში
	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2016
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,242	-	132	1
სესხები	(29,880)	-	(10,963)	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-	(106)
წმინდა განფენილობა	(28,638)	-	(10,831)	(105)

შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლის კურსები გამოიყენებოდა წლის განმავლობაში:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის	
	2017	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი) 2016 წლის 31 დეკემბრამდე	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აშშ დოლარი	2.5086	2.4013	2.5922	2.6468
ევრო	2.8322	2.6371	3.1044	2.7940

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გამყარება (გაუფასურება), როგორც ქვემოთაა მითითებული, აშშ დოლართან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და წმინდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები თანხების მიხედვით. ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები უცვლელია და უგულებელყოფს პროგნოზირებადი გაყიდვებისა და შესყიდვების გავლენას.

’000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	გაუფასურება
31 დეკემბერი 2017		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	2,864	(2,864)
31 დეკემბერი 2017		
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	-
31 დეკემბერი 2016		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	1,083	(1,083)
31 დეკემბერი 2016		
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	11	(11)

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალ ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით) ზეგავლენით. ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა, განსაზღვროს რისკის მიმართ კომპანიის განფენილობის რა ნაწილი უნდა იყოს ფიქსირებული და რა ნაწილი ცვალებად განაკვეთზე დამოკიდებული. თუმცა, თითოეული სესხის აღებისას ხელმძღვანელობა საზღვრავს, სესხის ვადის ამოწურვამდე კომპანიისთვის რომელი უფრო ხელსაყრელი იქნება - სესხის ფიქსირებული განაკვეთი თუ ცვალებადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ განფენილობა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო:

’000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(29,880)	(10,963)
	(29,880)	(10,963)

რეალური ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს არ აღრიცხავს, რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით ან როგორც გასაყიდად გამიზნულს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები მოგება ან ზარალსა და კაპიტალზე გავლენას ვერ იქონიებს.

19. საოპერაციო იჯარა

(ა) იჯარა მოიჯარესთან

კომპანია დაკავშირებული მხარისგან საოპერაციო იჯარით ქირაობს ფართს კაზინოსა და რესტორნისთვის თბილისში მდებარე სასტუმრო „ამბასადორში“, რამდენიმე სლოტ აპარატი და სასაწყობო ფართი ასევე საოპერაციო იჯარით არის ნაქირავები სხვა მხარეებისგან. იჯარის მოქმედების ვადა როგორც წესი ითვლება ერთიდან ორ წლამდე, ამ თარიღის შემდეგ იჯარის განახლების უფლების შესაძლებლობით. საიჯარო გადასახდელები როგორც წესი ყოველწლიურად იზრდება იჯარის საბაზრო ფასებთან მიმართებაში. ხელშეკრულებებით არსებითად ყველა რისკი და სარგებელი იჯარით აღებულ ქონებაზე რჩება მფლობელთან. აქედან გამომდინარე, კომპანიამ განსაზღვრა, რომ იჯარა საოპერაციოა.

2016 წლის ივლისში კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, კომპანიისთვის უფლების გადაცემაზე რომ ფართი მოეწყო კაზინოს ოპერირებისთვის, და შემდგომ კეთილმოწყობის სამუშაოების დასრულების შემდეგ იგი გადასცემოდა კომპანიას იჯარით. 2017 წლის აპრილში, როდესაც დასრულდა კეთილმოწყობის სამუშაოები, კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეს შორის შემდგომ შეთანხმებას მოეწერა ხელი ფართის იჯარაზე თვიური გადასახდელი იჯარის თანხის 29,500 აშშ დოლარის ოდენობით ორი წლის ვადით. 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეს შორის დადებული ცალკე შეთანხმებით, დარიცხული იჯარის ხარჯი ღირებულებით 635 ათასი ლარი იქნა ნაპატიები დაკავშირებული მხარის მიერ (შენიშვნა 14 (გ)).

20. პირობითი ვალდებულებები

(ა) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით. სანამ კომპანია არ მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ შესაძლო ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს არსებითად საზიანო გავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ბ) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(გ) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

21. დაკავშირებული მხარეები

(ა) მაკონტროლებელ მხარეებთან ურთიერთობა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სამი ფიზიკური პირის მფლობელობაში იყო და 2018 წლის აპრილ-აგვისტოსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კომპანიაში ფლობილი წილები გახდა ორი ფიზიკური პირის საკუთრებაში, შესაბამისად, ისინი არიან საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები, როგორც ეს განმარტებულია შენიშვნაში 1 (ბ).

(ბ) წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც მოცემულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში (იხ. შენიშვნა 7):

	2017	2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი) 2016 წლის 31 დეკემბრამდე
’000 ლარი		
ხელფასები და პრემიები	222	119

(გ) სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განმარტებულია ქვემოთ:

’000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	ოპერაციის ღირებულება 2016 წლის 20 ივნისიდან (დაარსების თარიღი) 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის	ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	
			2017	2016
მომსახურების შეძენა:				
სხვა	1,685	-	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა:				
სხვა	145	-	-	-
მიღებული სესხები:				
მფლობელი	19,085	12,034	29,880	10,963
ავანსები:				
სხვა	-	-	7	66
	20,915	12,034	29,887	11,029

2017 წლის განმავლობაში მიღებულ სესხზე საპროცენტო ხარჯი დარიცხულია 1,979 ათასი ლარი (2016 წლის 20 ივნისიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე: 139 ათასი ლარი).

2017 წლის განმავლობაში მოხდა რამდენიმე სესხის მიღება და გადახდა ღირებულებით 19,085 ათასი ლარის (7,645 ათასი აშშ დოლარი) და 1,166 ათასი ლარის (450 ათასი აშშ დოლარი), შესაბამისად (შენიშვნა 16).

2017 წელში თავდაპირველი აღიარებისას სესხები დისკონტირებულ იქნა 8.4 %-იანი საბაზრო განაკვეთის გამოყენებით. ეს დისკონტი თავდაპირველადვე აღიარდა, როგორც დამატებითი გადახდილი კაპიტალი.

22. შემდგომი მოვლენები

(ა) სესხები

ანგარიშგების თარიღის შემდგომ 2019 წლის 25 თებერვლამდე, კომპანიამ მოიზიდა ბანკის უზრუნველყოფილი სესხები და სესხები ბატონი ბლოხისგან 3,500 ათასი აშშ დოლარის (9,073 ათასი ექვივალენტი ლარში) და 2,700 ათასი აშშ დოლარის (6,999 ათასი ექვივალენტი ლარში) ოდენობით, შესაბამისად.

ანგარიშგების თარიღის შემდგომ 2019 წლის 25 თებერვლამდე, კომპანიამ გადაიხდა ბანკისა და ბატონი ბლოხისგან მიღებული სესხები 1,500 ათასი აშშ დოლარი (3,888 ათასი ექვივალენტი ლარში) და 500 ათასი აშშ დოლარი (1,296 ათასი ექვივალენტი ლარში), შესაბამისად.

23. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანიის მიერ თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

ქვემოთ მოყვანილია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ინდექსი, რომლის დეტალები ხელმისაწვდომია მომდევნო გვერდებზე:

(ა)	შემოსავალი	29
(ბ)	ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	29
(გ)	უცხოური ვალუტა	30
(დ)	დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები	30
(ე)	მოგების გადასახადი	30
(ვ)	მარაგები	31
(ზ)	ძირითადი საშუალებები	31
(თ)	არამატერიალური აქტივები	32
(ი)	ფინანსური ინსტრუმენტები	33
(კ)	საწესდებო კაპიტალი	35
(ლ)	გაუფასურება	35
(მ)	იჯარა	37

(ა) შემოსავალი

შემოსავალი თამაშებიდან (მაგიდების და სლოტების შემოსავალი) წარმოადგენს ნეტო მოგებას სათამაშო აქტივობიდან, რაც არის სხვაობა კაზინოს მიღებულ და განაცემ თანხებს შორის. რესტორნის ამონაგები აღიარდება როდესაც ხდება საქონლის და მომსახურების მიწოდება.

(ბ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯები;
- უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯი გამომდინარე იქედან არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(გ) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში და რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში იმ თარიღის კურსით, როდესაც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

(დ) დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ვალდებულება შეფასებულია არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად დაკავშირებული სერვისის მიწოდებასთან ერთად. ვალდებულება აღიარებულია მოსალოდნელი ღირებულებით, რაც გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით თუ კომპანიას აქვს მიმდინარე საკონტრაქტო ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ გადაიხადოს ეს თანხა და წარსულში მიწოდებული სერვისის შედეგად დაქირავებულის მხრიდან და ვალდებულებაც შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

(ე) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არიან ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე; ე.ი ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც მეწილეებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციებიც დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებებს და დადგენილ ნორმას გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზას და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(ვ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯების მოსალოდნელი ღირებულება.

(ზ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომითი და სხვა ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, მოცილების და მოსწორების სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული

უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე (მთავარი კომპონენტები), როგორც აღნიშნული აქტივის ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები აისახება მოგება-ზარალში გაწვევისთანავე.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით შექმნილ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მოყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა გაანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ზოგადად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის მიხედვით, აქტივების თითოეული ნაწილისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მიმდინარე და შესადარის პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადებია 2-5 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო წელს და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

(თ) არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი ლიცენზია და სხვა არამატერიალური აქტივები, რომლებსაც განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი შეფასება ხდება თვითღირებულებაზე დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(i) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგება ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(ii) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გაანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ამორტიზაცია ზოგადად აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით არამატერიალური აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი არიან მზად გამოყენებისათვის, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ხარჯის რეალური და სისტემატიური ასახვისათვის მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, გათვალისწინებით კაზინოს საქმიანობის და სათამაშო აპარატის სალონის შინაარსის, ლიცენზია ამორტიზებულია ლიცენზიის მოქმედების პერიოდის დღეების შესაბამისად. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში შემდეგია:

- ლიცენზია (კაზინო და სათამაშო აპარატების სალონი) 365 დღე
- სხვა არამატერიალური აქტივები (ძირითადად პროგრამული უზრუნველყოფა) 1-3 წელი

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო წელს და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას შემდეგ კატეგორიებში: სესხები და მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სესხებსა და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის იმ თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია, აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მას შემდეგ, რაც დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გადაფარვა და წმინდა თანხებით წარდგენა ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კომპანიას გააჩნია აღნიშნული გადაფარვის სამართლებრივი საფუძველი და განზრახული აქვს მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული უფლება ურთიერთგადაფარვაზე, თუ ეს უფლება არ არის მომავალში მოსახდენ ფაქტზე დამოკიდებული და განხორციელებადია ჩვეულების საქმიანობის პირობებში და კომპანიის თუ ყველა ჩართული მხარის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების დროს.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები განეკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც რეალურ ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხები და მოთხოვნები იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

სესხების და მოთხოვნების კატეგორია მოიცავ შემდეგ ფინანსური აქტივების ჯგუფებს: სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ნაშთებს მიმდინარე ანგარიშებზე, სამი ან ნაკლებთვიანი დაფარვის ვადით.

(ii) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციული დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებს, როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 16 და სხვა ვალდებულებებს.

(კ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი.

დამატებითი გადახდილი კაპიტალი

კომპანიის წილის მფლობელისგან შენატანების ნომინალური ღირებულება, რომელთათვისაც არ არსებობს მფლობელების გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შენატანის შესახებ, წარმოდგენილია როგორც დამატებითი გადახდილი კაპიტალი.

(ლ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით, მათ შორის კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები, ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა ისეთი მოვლენები, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შესაძლო ობიექტური მტკიცებულებებია:

- მოვალის მხრიდან ვადაგადაცემა ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისა და ისეთი პირობებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში კომპანიის მიერ არ იქნება განსაზღვრული;
- დებიტორის ან ფასიანი ქაღალდების გამომშვების გაკოტრების საფრთხის არსებობა;
- კომპანიაში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფითი ცვლილებები;
- გადაუხდელობასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები;
- ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობა; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მოსალოდნელია ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია სესხების და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ცალკეულ, ასევე ჯგუფურ დონეზე. ყველა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხი და მოთხოვნა მოწმდება სპეციფიკური გაუფასურების დადგენის კუთხით. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა სესხზე და მოთხოვნაზე, რომელზედაც კონკრეტული გაუფასურება ჯერ არ არის დადგენილი, ხორციელდება გაუფასურების ჯგუფური შეფასება იმ ნებისმიერი სახის ზარალის დასადგენად, რომელიც მოხდა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი. ის სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის, ფასდება ჯგუფურად გაუფასურებაზე რისკის საერთო მახასიათებლების მიხედვით.

გაუფასურების ჯგუფური შეფასების დროს, კომპანია იყენებს საექვო ვალებთან დაკავშირებით წინა წლებში დაგროვილ გამოცდილებას, მათი ამოღების დროსა და დანაკარგებთან დაკავშირებულ ალბათობებს. ეს ალბათობები კორექტირდება ხელმძღვანელობის მოსაზრების მიხედვით, კერძოდ, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა ისეთი, რომ რეალური წაგება შესაძლოა მეტი ან ნაკლები იყოს ისტორიული მონაცემების მიხედვით შეფასებულ რაოდენობაზე.

გაუფასურების ზარალი გაანგარიშდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. როდესაც კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივები, ჩამოიწერება შესაბამისი თანხები. გაუფასურების აქტივის პროცენტის აღიარება გრძელდება განმუხტვის ფასდაკლების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენები იწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირებას და ეს მოვლენა ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე აისახება შებრუნებული სახით.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოღინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოღინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან (CGU).

კომპანიის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(მ) იჯარა

იჯარები საოპერაციოა და იჯარით აღებული აქტივები არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარებულია მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის პირობების შესაბამისად.

25. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის დანერგილი

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული სტანდარტებიდან, შემდეგს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს ქვემოთმოცემული სტანდარტების დანერგვას მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ფასს 9, გამოიცა 2014 წლის ივლისში, ანაცვლებს არსებულ მითითებებს ბასს-ში 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ფასს 9 მოიცავს გადასინჯულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, მოიცავს ახალ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების კალკულაციისთვის და ახალ ზოგად ჰეჯირებული აღრიცხვის მოთხოვნებს. ის ასევე აგრძელებს მითითებებს აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ როგორც ეს არის ბასს-ში 39. ფასს 9 მოქმედია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ, სტანდარტის ადრევე გამოყენებაც ნებადართულია. კომპანიას აფასებს ფასს-ის 9 პოტენციურ გავლენას ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე რაც წარმოიშვება მასზე გადასვლისას.

- ფასს 16 განსაზღვრავს საბალანსო ერთიან, საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამოწვევის რისკი მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარის სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას). ეს სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ასევე მიღებული იქნება ფასს 15 (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან). კომპანია აფასებს ფასს 16-ის მიღებით გამოწვეულ პოტენციურ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რაც წარმოიშვება მასზე გადასვლისას.



შპს „დისქვერი ა“

2017 წლის მმართველობის ანგარიშგება

შინაარსი

შესავალი.....	3
საქმიანობის მიმოხილვა.....	4
ბაზრის მიმოხილვა	4
საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები.....	4
მოსაკრებლების განაკვეთები.....	5
კომპანიის შესახებ.....	7
ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და მისი მოწოდებული სერვისი	7
ორგანიზაციული სტრუქტურა.....	8
თანამშრომლები.....	8
ფინანსური მიმოხილვა	9
არაფინანსური მახასიათებლები	9
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე.....	9
კორუფციასთან ბრძოლა.....	9
რისკები და მათი მართვის მექანიზმი.....	10
საკრედიტო რისკი	10
ლიკვიდურობის რისკი.....	11
საბაზრო რისკები	11
ზოგადი რისკები.....	11
SWOT ანალიზი	12

შესავალი

შპს „დისქვერი ა“ ყოფილი შპს „კაზინო ამბასადორი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და დაარსდა 2016 წლის 20 ივნისს. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია იოანე შავთელის 17, თბილისი, საქართველო. მმართველობითი ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანია ორი პირის თანაბარ მფლობელობაშია, ბატონი დავით შველიძე, საქართველო და ბატონი ანდრეი ბლოხი, რუსეთი.

ჩვენი ძირითადი საქმიანობაა კაზინოს, მასთან ერთად განთავსებული სლოტ აპარატების სალონის და იმავე შენობაში განთავსებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2 რესტორნის, ხოლო ამ ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის ოთხი რესტორნის ოპერირება.

კაზინოსა და სლოტ აპარატების დარბაზი მდებარეობს ერთ სივრცეში რომელიც განთავსებულია თბილისში მდებარე სასტუმრო „ამბასადორის“ შენობაში, რომელშიც შპს „დისქვერი ა“-ს საოპერაციო იჯარით აქვს აღებული ფართი სხვა დაკავშირებული მხარისგან. იმავე საიჯარო ხელშეკრულების ფარგლებში იჯარით აღებულია რესტორნის და ოფისის ტერიტორიაც ამავე სასტუმროს შენობაში. ამრიგად კომპანიის ორივე ძირითადი სეგმენტის ოპერირება ხორციელდება „ამბასადორის“ შენობაში.

მუდმივი კლიენტების მოზიდვის მიზნით, კაზინოში იმართება სხვადასხვა სახის წამახალისებელი გათამაშებები, რომლებშიც მონაწილეობენ კაზინოსა და სლოტ აპარატების სალონის კლიენტები. კაზინოს დანერგილი აქვს სტუმრების მოწვევის პრაქტიკა, ის იწვევს სტუმრებს სხვადასხვა ქვეყნიდან და თავად ფარავს მათი მგზავრობისა და განთავსების ხარჯებს, განთავსება ძირითადად ხდება სასტუმრო „ამბასადორში“, ასევე სტუმრებისთვის კაზინო გასცემს სხვადასხვა საჩუქრებს.

საქმიანობის მიმოხილვა

ბაზრის მიმოხილვა

სათამაშო ბიზნესი საქართველოში შეიძლება ითქვას რომ ერთ-ერთი პრიორიტეტული სეგმენტია, როგორც ტურისტული ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი ქვეყანაში, საქართველოს მთავრობის ერთგვარი პოლიტიკაა რომ ხელი შეუწყოს საქართველოს სათამაშო ჰაზად ქცევას რეგიონში. მედიაში აქტიურად შუქდება სათამაშო ბიზნესის ახალი ობიექტების მშენებლობის თაობაზე, ან ახალ სათამაშო ობიექტის გახსნაზე სიახლეები. ხშირ შემთხვევაში ახალი კაზინოს გახსნა დაკავშირებულია იმ სასტუმროს გახსნასთანაც სადაც ეს კაზინოა განთავსებულია. აგრეთვე, ხდება ხელის შეწყობა საკანონმდებლო რეგულაციებით, რომლის მიხედვითაც კაზინოებისთვის არსებობს სალიცენზიო შეღავათები თუ ამავედროულად აშენდება ახალი სასტუმრო.

სათამაშო ბიზნესის სეგმენტი საქართველოში სხვა სეგმენტებთან შედარებით უკეთესად არის განვითარებული და შესაბამისად ქვეყნის ბიუჯეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. კაზინოები საქართველოში ლეგალურად 1990 წლიდან არსებობს. სათამაშო ბიზნესის სექტორში ბრუნვისა და მოგების ზრდის ტრენდი მუდმივად მზარდია, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში.

2017 წლის აგვისტოსთვის, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, უკვე 150-მდე ბიზნეს სუბიექტი იყო რეგისტრირებული, ბრუნვა კი 4 მილიარდ ლარს აღემატებოდა, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს ათჯერ აღემატებოდა. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ამ დროს 33 მილიარდი ლარი იყო. 2017 წლიდან კაზინოებს მეტი მოსაკრებლის გადახდა უწევთ საქართველოში.

მთლიანად 2017 წელს, შემოსავლების სამსახურის ინფორმაციივ, სათამაშო ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ 5.65 მილიარდი ლარი შეადგინა, ქვეყნის ბიუჯეტში კი 332 მილიონი ლარი იქნა გადახდილი. აქედან გადასახადები - 155,000,000 ლარს, მოსაკრებლები - 120,000,000 ლარს და ადგილების მოწყობის მოსაკრებელი 58,000,000 ლარს შეადგენდა. 2017 წელს მოქმედებდა 136 სუბიექტზე გაცემული 256 სათამაშო ნებართვა.

2019-2020 წლებში საქართველოში კიდევ არაერთი კაზინოს გახსნა იგეგმება.

საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები

სათამაშო ბიზნესი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მკაცრად რეგულირებული საქმიანობის ფორმაა და ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველოში სათამაშო ბიზნესის საქმიანობას, ზოგადად საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის სავალდებულო საკანონმდებლო აქტების გარდა, კიდევ ექვსი საკანონმდებლო აქტი არეგულირებს.

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველო კანონი;
3. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის N611-1013 ერთობლივი ბრძანება;
7. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობი (ორგანიზატორი) პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების და „სამორინეების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 28 ივლისის N94 ბრძანება.

ამ საკანონმდებლო აქტების შინაარსიდან გამომდინარე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, აზარტული და მომგებიანი თამაშების ორგანიზება სპეციალურ ნებართვებს საჭიროებს და აზარტული და მომგებიანი თამაშების უნებართვოდ გამართვა ან ნებართვის პირობების შეუსრულებლობა კანონდარღვევად ითვლება და ქვეყნის კანონმდებლობით ამგვარი შემთხვევებისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

ნებართვების გაცემას, მასში ცვლილებებს და ნებართვების გაუქმებას ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს. შემოსავლების სამსახური სხვადასხვა სახის აზარტული თამაშების მოწყობისათვის ნებართვებს გაცემს, თითოეული ტიპის თამაშზე ცალკეული ნებართვა გაიცემა. კონკრეტული ნებართვის ტიპის მიხედვით, განსხვავდება ამ ნებართვის მოქმედების პერიოდები და ასევე იგივე ტიპის აზარტული თამაშის ელექტრონული ფორმით მოწყობის დაშვებაც განსხვავებულია.

მოსაკრებლების განაკვეთები

მოსაკრებლების რაოდენობაც განსხვავდება საქმიანობის ქვეტიპის მიხედვით, იმის მიხედვით თუ რა ტიპის აზარტული თამაშის მოწყობის ნებართვაა გაცემული. აზარტული თამაშს ყველა ქვეტიპისათვის სანებართვო მოსაკრებლის გადახდა უნდა მოხდეს წინასწარ, საქმიანობის დაწყებისას.

კაზინო

კაზინოს მოწყობის წლიური სანებართვო მოსაკრებელი განსხვავდება ქვეყნის ტერიტორიაზე კაზინოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

გეოგრაფიული მდებარეობა	სანებართვო მოსაკრებელი
• თბილისი	5,000,000 ლარი
• ბათუმი • დუშეთის მუნიციპალიტეტი • ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორია • ქობულეთის მუნიციპალიტეტი • ბორჯომის მუნიციპალიტეტი	250,000 ლარი
• ახალციხის მუნიციპალიტეტი	1,000,000 ლარი
• ყაზბეგის მუნიციპალიტეტი • წყალტუბოს მუნიციპალიტეტი • სიღნაღის მუნიციპალიტეტი • დაბა ბაკურიანი • გუდაური	სანებართვო მოსაკრებლისგან განთავისუფლებულია
• ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია	5,000,000 ლარი

თბილისში კაზინოს მოწყობის ნებართვის მფლობელი კომპანიები საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე გათავისუფლებული არიან 3 აზარტული კლუბის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლისგან. თუ კომპანია სათამაშო აპარატების მოწყობის ნებართვის მფლობელია, მაშინ გათავისუფლებულია საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე ერთი აზარტული კლუბის მოწყობის სანებართვო გადასახადისგან.

სათამაშო აპარატების სალონი

კანონი ადგენს რომ თითოეულ აპარატზე გათვალისწინებული უნდა იყოს დადებული ფსონის მინიმუმ 80%-იანი მოგება. სანებართვო მოსაკრებელი ტერიტორიის მიხედვით, სათამაშო აპარატების სალონისთვის შემდეგია:

გეოგრაფიული მდებარეობა	სანებართვო მოსაკრებელი
• თბილისი *	1,000,000 ლარი
• ბათუმი • ქუთაისი • რუსთავი • ფოთი	200,000 ლარი
• თელავი • გორი • მარნეულის მუნიციპალიტეტი • ზუგდიდი • ოზურგეთი • ახალციხე • ხაშურის მუნიციპალიტეტი • ქობულეთის მუნიციპალიტეტი • ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი • სენაკის მუნიციპალიტეტი	100,000 ლარი
• ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია	50,000 ლარი

**თუ კომპანია თბილისში ფლობს კაზინოს მოწყობის ნებართვას, სათამაშო აპარატების სალონის მოსაწყობად შეღავათიანი სანებართვო მოსაკრებელი 100,000 ლარით განისაზღვრება. შპს „დისკვეერი ა“ იყენებს ამ საშეღავათო პირობას.*

სხვა მოსაკრებლები და გადასახადები

გარდა სანებართვო მოსაკრებლებისა, სათამაშო ბიზნესი იხდის კვარტალურ მოსაკრებლებს. განაკვეთები, გადახდის წესი და ვადები, საქმიანობის ქვესახეობის მიხედვით განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

- კაზინოს თითოეულ მაგიდაზე - კვარტალში 15,000 – 40,000 ლარი
- თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 1,500 -4,000 ლარი
- თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%

კომპანიის შესახებ

ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და მისი მიწოდებული სერვისი

ჩვენი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კაზინოს, სლოტ აპარატების სალონის და რესტორნების ოპერირება. კაზინოს მთავარი დარბაზი განთავსებულია სასტუმრო „ამბასადორის“ შენობაში ნულოვან სართულზე. კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2017 წლის 5 მაისს.

კაზინოში განთავსებული იყო 22 სათამაშო მაგიდა, სლოტ აპარატების სალონში კი იდგა 61 სლოტ აპარატი. შესაბამისად, ზემოთ აღწერილი სალიცენზიო მოსაკრებლების მიხედვით, კაზინო თითოეული მაგიდისთვის კვარტალურად იხდის 40,000 ლარს, ხოლო თითოეული სლოტ აპარატისთვის - 4,000 ლარს. კაზინოს მთავარი დარბაზთან მომიჯნავედ განთავსებულია სამი VIP ოთახი განსაკუთრებული სტუმრების მომსახურებისთვის.


ამასთანავე, გარკვეული პერიოდებით იმართება წამახალისებელი გათამაშებები, თამაშდება ფულადი პრიზები და მთავარი პრიზი, ლუქს კლასის ავტომობილები. წამახალისებელი გათამაშების მთლიანი ბიუჯეტის 10% გადახდილი არის ბიუჯეტში, როგორც ეს კანონმდებლობით არის მოთხოვნილი. ბიუჯეტი და რეგლამენტი წინასწარ უთანხმდება შემოსავლების სამსახურს, ასევე კომპანიას ეკისრება საგადასახადო აგენტის ფუნქცია მოგებული მონაწილეების შემოსავლებიდან სამშემოსავლო გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავებაზე.

სარესტორნო სეგმენტი მოიცავს ოთხ განსხვავებული თემატიკის რესტორანს, სპეციალური დიზაინითა და განსხვავებული სამზარეულოებით:

- ❖ ბარი და მცირე რესტორანი განთავსებულია კაზინოს მთავარ დარბაზში;
- ❖ სასტუმრო „ამბასადორის“ ტერასაზე განთავსებულია აღმოსავლური ინტერიერის რესტორანი „მოზაიკო“;
- ❖ პირველ სართულზე განთავსებულია ლაუნჯი „ფლამინგო“ (ოპერირებს 2018 წლიდან);
- ❖ სასტუმრო „ამბასადორის“ პირველ სართულზე განთავსებულია იტალიური რესტორანი (ოპერირებს 2018 წლიდან).

რესტორნებში, გარდა ჩვეულებრივი ყოველდღიური საქმიანობისა, იმართება სხვადასხვა სახის წვეულებები.

ორგანიზაციული სტრუქტურა



თანამშრომლები

2017 წლის განმავლობაში კომპანიაში 400-ზე მეტი თანამშრომელი მუშაობდა (62% ქალი და 38% კაცი) და მათზე წლის განმავლობაში ხელფასის სახით 7.3 მილიონ ლარზე მეტი გაიცა. კომპანია საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელია, ხელფასები კონკურენტუნარია, ასევე კომპანია იღებს თანამშრომლების კვებისა და ჯამრთელობის დაზღვევის ხარჯებს.

მუდმივად ვცდილობთ, გავაუმჯობესოთ თანამშრომელთა სამუშაო პირობები და გარემო. კომპანია ახალი თანამშრომლების შერჩევისას არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული კადრების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციით.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი.

ფინანსური მიმოხილვა

2017 წლის 5 მაისიდან (საოპერაციო საქმიანობის დაწყების თარიღი) 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 13.6 მილიონი ლარი: აქედან სარესტორნო საქმიანობიდან 217 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი სათამაშო საქმიანობიდან, შესაბამისად. აღნიშნულ პერიოდში კომპანიის საოპერაციო ხარჯებმა 21.7 მილიონი ლარი შეადგინა, და შესაბამისად საერთო ზარალი იყო 8 მილიონი ლარის ოდენობით. საერთო ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების გამოკლების შემდეგ საოპერაციო ზარალმა 12 მილიონი ლარი შეადგინა, რამაც საპროცენტო ხარჯისა და საკურსო სხვაობის გამოკლების შემდეგ 14.4 მილიონი ლარის წმინდა ზარალი აჩვენა ამ პერიოდისთვის.

ჩვენის აზრით, გამომდინარე იქიდან, რომ კაზინოს ბიზნესისთვის პირველი სამი წელი არის საწყისი ეტაპი და ახასიათებს გაუმჯობესების ტენდენცია ფინანსურ მაჩვენებლებში, კაზინოს ერთგული კლიენტების ზრდასთან ერთად, მოცემული ზარალი არ არის საგანგაშო, რაზეც მეტყველებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ინფორმაციაც, რომ კომპანიის ზარალი მცირდება და ამ ტენდენციის გაგრძელებასთან ერთად კომპანია მომგებიანი გახდება.

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 7.2 მილიონი ლარის ინვესტიცია ძირითად საშუალებებში და 5.3 მილიონი ლარი არამატერიალურ აქტივებში, რაც ძირითადად დაფინანსებული იყო დამფუძნებლისგან მიღებული სესხებით.

არაფინანსური მახასიათებლები

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შრომის უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს და აღნიშნული მოთხოვნების დაცვასთან ერთად, შპს „დისქავერი ა“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ სხვადასხვა სახის ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიას აქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

რისკები და მათი მართვის მექანიზმი

რისკების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო, კომპანია შემდეგ რისკებს მიმართ არის მგრძნობიარე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეშევა ფულის და ფულის ექვივალენტებისგან. 2017 წლის ბოლოსათვის, ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების სახით შპს „დისქვერი ა“ სხვადასხვა ვალუტის ნაღდი ფულისა და რამდენიმე საბანკო ანგარიშზე ფულისა და მისი ექვივალენტების სახით ფლობდა, ჯამში 2.5 მილიონის ექვივალენტს ლარში. ანგარიშები მთლიანად განთავსებულია ქვეყნის ორ უმსხვილეს ბანკში რომელთაც აქვთ შემდეგი საკრედიტო რეიტინგები:

ბანკის სახელწოდება	გრძელვადიანი რეიტინგი	მოკლევადიანი რეიტინგი	საკრედიტო სააგენტო
საქართველოს ბანკი	BB-	B	Fitch
TBC ბანკი	BB-	B	Fitch

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას იხილავთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანიის მიზანია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დონის შენარჩუნება ისეთი ოდენობით, რომელიც აღემატება ფინანსური ვალდებულებების ფულადი სახსრების მოსალოდნელ გადინებას, სამი თანმიმდევრული თვის განმავლობაში.

ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში პროგნოზირება შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები. ასევე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას წარმოექმნება ლიკვიდურობის პრობლემები, შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება მისი მფლობელისგან.

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე. მოგება ან ზარალის არასტაბილურობის სამართავად კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას.

ზოგადი რისკები

კომპანიას გააჩნია შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკების (მაგ. თაღლითობა, ქურდობა, და ა.შ.) შემცირებისაკენ. რეგულარულად ხდება მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და აღწერა, რაც ხელს უწყობს მაღალი დონის დაცულობას მსგავსი რისკებისგან. შიდა შემოწმებების შედეგად უკანასკნელ პერიოდში რაიმე სერიოზული ხარვეზი ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

SWOT ანალიზი

	პოზიტიური	ნეგატიური
შიდა	ძლიერი მხარეები • კომპანიის აქტივები • მომსახურების ხარისხი • ამონაგების ზრდის ტრენდი • კაზინოს არსებული ინვენტარი • განსაკუთრებული ადგილმდებარეობა • ძლიერი გუნდი • ჰოლდინგის მხარდაჭერა • ბრენდი	სუსტი მხარეები • დაგროვილი ზარალი • ვალდებულებების აქტივებზე სიჭარბე
გარე	შესაძლებლობები • ტურიზმის განვითარება • კანონმდებლობის მოქნილობა • რეგიონში სათამაშო ბიზნესის აკრძალვა • სერვისის მოთხოვნის ზრდა	საფრთხეები • ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა • რეგულაციების გამკაცრება • სალიცენზიო მოსაკრებლის გაზრდა • ძლიერი კონკურენტები • პოლიტიკური დესტაბილიზაცია • ბაზრების ცვალებადობა • გაუთვალისწინებელი გარემოებები